წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სხდომა

ოქმი N1

ქ. წყალტუბო 31.03.2023 წ.

სხდომას ესწრებოდნენ: მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე ზურაბ ჯანელიძე, მდივანი მარინა ჭავჭანიძე, წევრები - ლუკა ადეიშვილი, ედიშერ გედენიძე, ლალი გრიგოლავა, ნიკოლოზ გურეშიძე, დავითი მესხი, მურად სინაურიძე, თეიმურაზ ფირცხალავა, მანანა ჩაკვეტაძე, მანანა ჩიხლაძე; მუნიციპალიტეტის მერი გენადი ბალანჩივაძე, მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის უფროსი ვახტანგ ნადარეიშვილი, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი ნათია ჩაკვეტაძე, ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი მარეხ კანკაძე, საზოგადოებასთან ურთიერთობისა და ღონისძიებათა მართვის განყოფილების უფროსი - ნათია გახოკიძე.

დღის წესრიგი:

1. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარის შესახებ.

   გ. ბალანჩივაძე - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერი

2. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის მრჩეველთა საბჭოს მდივნის შესახებ.

   გ. ბალანჩივაძე - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერი

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: მუნიციპალიტეტის მერის გენადი ბალანჩივაძის ინფორმაცია მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარის შესახებ. მან ვრცლად ისაუბრა განვლილი ერთი წლის განმავლობაში სოციალური , კულტურული და ინფრასტუქტურული პროექტების განხორციელებაში მიღწეული წარმატებებისა და მასში მერის მრჩეველთა საბჭოს როლზე, მიზნებსა და კომპეტენციაზე. დადებით მომენტად იქნა აღქმული საბჭოს თავმჯდომარის ინიციატივა - მის ფირმაში მოყვანილი პროდუქტით 10 შეჭირვებული ოჯახის დახმარებისა და საბჭოს წევრის მანანა ჩიხლაძის ინიციატივა- ყოელთვიურად 3 სოციალურად დაუცველის უფასოდ გამოკვლევის შესახებ.

მუნიციპალიტეტის მერმა, მომდევნო ერთი წლის განმავლობაში მერის მრჩეველთა საბჭოს თავჯდომარედ ასარჩევად სხდომაზე წარმოადგინა მოწინავე ბიზნესმენის, არაერთ საერთაშორისო კონკურსში გამარჯვებულის, გამოცდილი სამეურნეო მუშაკის ზურაბ ჯანელიძის კანდიდატურა.

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს: თეიმურაზ ფირცხალავამ , მურად სინაურიძემ, დავით მესხმა, ლალი გრიგოლავამ, მანანა ჩიხლაძემ, რომლებმაც მოიწონეს თავმჯდომარის კადიდატურა და თანადგომა აღუთქვეს ზურაბ ჯანელიძეს. ზურაბ ჯანელიძემ მადლობა გადაიხადა მაღალი ნდობისათვის.

დ ა ა დ გ ი ნ ე ს: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის მრჩეველთა საბჭოს თავჯდომარედ, ღია კენჭისყრით, ერთხმად არჩეულ იქნას ზურაბ ჯანელიძე.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის მრჩეველთა საბჭოს მდივნის თაობაზე მუნიციპალიტეტის მერის გენადი ბალანჩივაძის ინფორმაცია , რომელმაც საბჭოს წარუდგინა მარინა ჭავჭანიძის კანდიდატურა.

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს: მანანა ჩაკვეტაძემ, მანანა ჩიხლაძემ, ზურაბ ჯანელიძემ.

დ ა ა დ გ ი ნ ე ს: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის მრჩეველთა საბჭოს მდივნად არჩეულ იქნას მარინა ჭავჭანიძე.

საბჭოს წევრებმა , მათთვის საინტერესო საკითხებზე მოისმინეს მერიის ჯანმრთელობის, სოციალური დაცვისა და ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურების უფროსების ნათია ჩაკვეტაძისა და მარეხ კანკაძის ინფორმაციები.

მერის მრჩეველთა საბჭოს

თავმჯდომარე ზ. ჯ ზ. ჯანელიძე

მერის მრჩეველთა საბჭოს

მდივანი მ. ჭავჭანიძე